ვალდებულების დოკუმენტი

(დამტკიცებული ხაზინაში)

1. ვალდებულების დოკუმენტი #: **566**

2. სახაზინო კოდი და დასახელება: 01 02

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია

3. საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება: 216433287 - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი

4. ვალდებულების საფუძველი: ხელშეკრულება #: 01/57; თარიღი: 15.06.2015

5. მომწოდებელი (საიდენტიფიკაციო კოდი): 205074774

6. მომწოდებელი (დასახელება): ა(ა)იპ საქართველოს ხელოვანთა და მეცნიერთა ასოციაცია მემბრანა

დაფარვის წყარო: საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე

(თანხა ლარებში)

ნაწილი I: ივსება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ				
საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	CPV კოდი	მომსახურების სახე	წარდგენილი ვალდებულება	დადასტურების თარიღი
2.2.3.3 ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები	22400000 მარკები, ჩეკების წიგნაკები, ბანკნოტები, აქციები, სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები;	საცნობარო, საინფორმაციო კატალოგის ბეჭდვა (მიმდინარე წლის ხარჯი)	180.00	01/07/2015
		სულ ჯამი:	**180.00**	

ვალდებულების დამატება:	შორენა ჯოხაძე-ლოლაძე	01/07/2015 10:21
ვალდებულების დამოწმება:	შორენა ჯოხაძე-ლოლაძე	01/07/2015 10:21
ვალდებულების გაგზავნა middle-ოფისში:	ინგა კვარაცხელია	01/07/2015 10:22
ვალდებულების გაგზავნა ხაზინაში middle-ოფისიდან:	ინგა კვარაცხელია	01/07/2015 10:22
ვალდებულების დამტკიცება:	მზია ბერუაშვილი	01/07/2015 10:23

01/07/2015

მიღებულია

ქალაქ რუსთავის
მუნიციპალიტეტი

საგადახდო მოთხოვნა #02964

(დამტკიცებული ხაზინაში)

სახაზინო კოდი	01 02	დასახელება	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია		
ვალდებულების #	0566	მოთხოვნის საფუძველი	მიღება-ჩაბარების აქტი; 01/57-1; 16/06/2015		0
საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	2.2.3.3	თანხა ლარებში	180.00	თანხა სიტყვით	ასოთხმოცი ლარი
განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი			216433287		
დასახელება	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი				
მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი			205074774		
დასახელება	ა(ა)იპ საქართველოს ხელოვანთა და მეცნიერთა ასოციაცია მემბრანა				
მიმღების ბანკის კოდი			CBASGE22		
დასახელება	ქ.თბილისი, სს "ბაზის ბანკი"				
ანგარიშის #	GE34BS0000000071236933			საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი	
გადახდის დანიშნულება	სხვა - საცნობარო,საინფორმაციო კატალოგის ბეჭდვა(მიმდინარე წლის ხარჯი)				

მოთხოვნის დამატება:	შორენა ჯოხაძე-ლოლაძე	01/07/2015 14:47
მოთხოვნის დამოწმება:	შორენა ჯოხაძე-ლოლაძე	01/07/2015 14:59
მოთხოვნის გაგზავნა middle-ოფისში:	ინგა კვარაცხელია	01/07/2015 14:59
მოთხოვნის გაგზავნა ხაზინაში middle-ოფისიდან:	ნინო მირინაშვილი	01/07/2015 15:46
მოთხოვნის მიღება:	ირაკლი პაიჭაშვილი	01/07/2015 16:25
ბანკში გაიგზავნა:		01/07/2015 16:35

GEORGIA STATE TREASURY 1995

01/07/2015

ტრანზაქცია
განხორციელებულია

2233
1/8-9ბი
552

მიღება–ჩაბარების აქტი
№01/57-1

ქ. რუსთავი *„_16_“ ივნისი 2015 წელი*

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის მ/შ ზვიად პერტაია („შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ საქართველოს ხელოვანთა და მეცნიერთა ასოციაცია „მემბრანა“ წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ვერა ფურცხვანიძის სახით („მიმწოდებელი“) ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2015 წლის 15 ივნისს გაფორმებული №01/57 ხელშეკრულების მოთხოვნის პირობების დაცვით, „მიმწოდებელმა“ გადასცა ხოლო „შემსყიდველმა“ ჩაიბარა 4 ცალი (ერთი ცალი კატალოგი 45 ლარი) კატალოგი, სულ ღირებულებამ შეადგინა 180 ლარი.

„შემსყიდველი“
მერიის ადმინისტრაციის უფროსის მ/შ

ზვიად პერტაია

„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ საქართველოს ხელოვანთა და მეცნიერთა ასოციაცია „მემბრანა“-ს აღმასრულებელი დირექტორი

ვერა ფურცხვანიძე

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01/57

15 ივნისი 2015 წელი

ქ. რუსთავი

ერთის მხრივ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ლაშა ლობჯანიძეს სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ საქართველოს ხელოვანთა და მეცნიერთა ასოციაცია „მემბრანა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ვერა ფურცხვანიძეს სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის (გამარტივებული შესყიდვა) თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 ,,მხარე“ - ,,შემსყიდველი“ ან/და ,,მიმწოდებელი“.

1.7 ,,საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 4 (ოთხი) ცალი კატალოგის შეძენა (CPV22400000)

2.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების აღწერა მოცემულია დანართ №1-ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 180 (ას ოთხმოცი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 ,,მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2 საქონლის მიღება განხორციელდება შესაბამისი მიწოდებული საქონლის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან ა(ა)იპ საქართველოს ხელოვანთა და მეცნიერთა ასოციაცია „მემბრანა“-ს წარმომადგენელი.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:
- ,,მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება;
- ,,მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;
- ,,მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20.

6.2 საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) საქონლის სრულ და ჯეროვნად მიწოდებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა)შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2. პუნქტში;
ბ)წუნის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დეფექტური საქონლის შეცვლა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია. (წარმოდგენილი მისი უფროსის სახით)

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:
ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
გ) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0,5%** -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **5%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი მის: ქ.რუსთავი, მ.კოსტავას გამზირი №20 საიდენტიფიკაციო კოდი №216433287 სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კ № TRESGE22 ა/ა №GE24NB0330100200165022	ა(ა)იპ საქართველოს ხელოვანთა და მეცნიერთა ასოციაცია „მემბრანა“ მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №1 საიდენტიფიკაციო კოდი №205074774 სს „ბაზის ბანკი“ ბ/კ №CBASGE22 ა/ა №GE34BS0000000071236933
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	**ა(ა)იპ საქართველოს ხელოვანთა და მეცნიერთა ასოციაცია „მემბრანა“-ს აღმასრულებელი დირექტორი**
ლაშა ლობჟანიძე	*ვერა ფუტკარაძე*

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: **ზვიად პერტაია**

დანართი №1

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	კატალოგი	4	45	180

სულ: 180 ლარი

ა(ა)იპ საქართველოს ხელოვანთა და მეცნიერთა ასოციაცია
„მემბრანა“-ს აღმასრულებელი დირექტორი:

ვერა ფურცხვანიძე

ASSOCIATION OF ARTISTS AND SCIENTISTS GEORGIA
"MEMBRANE"
20507774